ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4228537

ნომერი: AR1637591

თარიღი : 16.10.2018

გაცემის თარიღი : 22.10.2018

გაცნობის თარიღი : 23.10.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პუშკინი , N 15;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაია დგებუაძე პ/ნ 01006004045
- ქ.თბილისი ბ/ხმელნიცკის მე2შეს#6

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2018 წლის 16 ოქტომბრის AR1637591 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, პუშკინის ქ. N15-ში არსებული შენობის რეკონსტრუქციის (ტერასაზე დროებით საძირკვლის არმქონე შენობის-ღია კაფის მოწყობა) საკითხს.
პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები განეკუთვნება რეკონსტრუქციის ისეთ სახეობას, რომელიც საჭიროებს არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას. შესაბამისად, თქვენს მიერ არასწორად მოხდა განაცხადის დარეგისტრირება. განაცხადი საჭიროა დარეგისტრირებული იქნეს შესაბამის ნომენკლატურაში: პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა და წარმოდგენილი უნდა იქნეს სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნომენკლატურით სამსახური მოკლებულია საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობას. სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამის ნომენკლატურაში ატვირთვის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.